

33. საქართველოს პარლამენტის განცხადება, 1998 წლის 27 მაისი.

საქართველოსპარლამენტისგანცხადება

გალისრაიონში უკანასკნელი ხანს დატრიალებულმა ტრაგედიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აფხაზი სეპარატისტები აგრზელებენ გენოციდისა და ეთნიკური წმენდის პოლიტიკას მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ეს პოლიტიკა, ანუ დანაშაული ადამიანურიბისა და კაცობრიობის წინაშე, მიზნად ისახავს აფხაზეეთში ისტორიულად ჩამოყალიბებული დემოგრაფიული რეალობის ძალადობრივად შეცვლას, საქართველოსგან მისი ძირძველი, განუყოფელი კუთხის – აფხაზეეთის ჩამოშორებას, საქართველოს ჩაბმას ფართომასშტაბიან ომში, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის რღვევას, ქაოსისა და ანარქიის პროვოცირებას.

საყოველთაოდ ცნობილი და დადასტურებულია საერთაშორისო ორგანიზაციათა მიერ, რომ აფხაზეეთში ცეცხლის შეწყვეტისა და დსთ-ის სამშვიდობო ძალების რეგიონში შემოსვლის შემდეგ, 1994 წლიდან დღემდე, გალის რაიონში აფხაზმა სეპარატისტებმა არაერთი დამსჯელი ოპერაცია განახორციელეს ადგილობრივი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ. გენოციდის მსხვერპლი გახდა 1500-ზე მეტი მშვიდობიანი ადამიანი, დაინგრა და დაიწვა 100-ზე მეტი სახლი. მოსახლეობა ზნობის იძულებული გახდა შეექმნა შეიარაღებული რაზმები, რათა დაეცვა საკუთარი რირსება, სიცოცხლე და ქონება სეპარატისტთა ბანდების შემოჭრის დროს. გალის რაიონში შექმნილი თავდაცვითი რაზმები იყო რეაქცია სეპარატისტთა პერმანენტულ აგრესიაზე.

ამა წლის 20 მაისიდან 400-მდე შეიარაღებული სეპარატისტი შეიჭრა გალის რაიონში კიდევ ერთი ეგზეკუციის მოსაწყობად, მაგრამ ამჯერად წააწყდა თავდაცვითი რაზმების მედგარ წინააღმდეგობას. მშვიდობიანი მოსახლეობა, რომელსაც აევსო მოთმინების ფიალა, წინ აღუდგა ეთნოწმენდის მორიგ ცდას და იძულებული გახდა იარაღით დაეცვა თავი. მოსახლეობას დახმარება აღმოუჩინეს აფხაზეეთის სხვადასხვა რაიონიდან დევნილი მოქალაქეებისგან შემდგარმა პარტიზანულმა რაზმებმა.

შეიარაღებულ შეტაკებას ორივე მხრიდან მოჰყვა მსხვერპლი. წინააღმდეგობით გააფრთლებულმა სეპარატისტულმა რეჟიმმა გალის რაიონში დამატებით შეიყვანა შეიარაღებული რაზმები 1000 კაცის ოდენობით და მძიმე სამხედრო ტექნიკა, აგრეთვე არტილერია.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეგიდით რეგიონში მყოფი რუსეთის სამშვიდობო ძალები არათუ წინ აღუდგნენ აფხაზეური მხარის მოქმედებას, არამედ, რიგ შემთხვევაში, ხელსაც უწყობდნენ სადამსჯელო ოპერაციების წარმოებას მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

სამშვიდობო ძალთა მოქმედება გალის რაიონში 20-26 მაისის მოვლენების დროს იყო ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების უხეში დარღვევა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოსა და გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებათა სრული იგნორირება.

საქართველოსპარლამენტი აცხადებს, რომ გალის რაიონში მომხდარი ტრაგედიისათვის პასუხისმგებლობა სეპარატისტთა ლიდერებთან ერთად მნიშვნელოვანწილად ეკისრება დსთ-ის სამშვიდობო ძალებს, რომლებმაც ფაქტობრივად ხელი შეუწყვეს მსვიდობიანი მოსახლეობის დარბევას, მტელი სოფლების განადგურებას. საქართველოსპარლამენტი იმედს გამოთქვამს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები სათანადოდ შეაფასებენ ამ ფაქტს, ვინაიდან სამშვიდობო მისიის დისკრედიტაცია საყოველთაო შემფოთებას უნდა იწვევდეს.

საქართველოსპარლამენტი მიმართავს გაეროს, ეუთოს, საქართველოს მეგობარ ყველა სახელმწიფოს, რათა უახლეს პერიოდში გაეროს უშიშროების საბჭოზე დაისვას საქართველოში დსთ-ის სამშვიდობო კონტიგენტის საერთაშორისო ძალებით ჩანაცვლების საკითხი.

საქართველოსპარლამენტი საგანგებოდ აღნიშნავს გალის და მთლიანად აფხაზეთის მოსახლეობის წარმომადგენელთაგან შემდგარი ლაშქრის თავგანწირვას, რომლის გმირობამაც გადაარჩინა ათასობით ადამიანი ფიზიკური განადგურებისაგან სწორედ თავდაცვითი რაზმების მებრძოლთა წინააღმდეგობას შედეგად გახდა შესაძლებელი აგვეცილებინა განუზომლად უფრო დიდი მსხვერპლი და ნგრევა.

საქართველოს პარლამენტი თანაუგრძნობს დალუპულთა ოჯახებს და პატივს მიაგებს დალუპულთა ხსოვნას.

საქართველოსპარლამენტი მოუწოდებს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას დახმარება აღმოუჩინოს გალის რაიონიდან დევნილ მოსახლეობას, ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს, რომელთაც კიდევ ერთხელ დაკარგეს სახლ-კარი.

საქართველო, როგორც ჩვენ არაერთხელ დაგვიდასტურებია, კვლავაც მიიჩნევს, რომ აფხაზეთის პრობლემა უნდა გადაწყდეს მშვიდობიანი გზით და მოუწოდებს მოლაპარაკებებში ჩართულ ყველა მხარეს სასწრაფოდ გააქტიუროს ძალისხმევა სამშვიდობო პროცესის დასაჩქარებლად.

თბილისი, 1998 წლის 27 მაისი.

(პარლამენტის უწყებანი. საკანონმდებლო დამატება, # 23-24, 30 ივნისი 1998 წელი, გვ. 4)